ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N1

27.01..2021 წ.

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვან
   მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებებ
   შეტანის თაობაზე;

   მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯ
   მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

3. სხვადასხვა

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახ
საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა, მირანდა ბელთაძემ (ივანე მამფორიას საპ
მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წ
ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3208,0 ათასი ლარი. 2021 წლის 201 იანვრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხება 1283,0 ათასი ლარი, საიდანაც 701,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებია (მათგან 700,0 ათასი ლარი უკვე გათვლილი იყო 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, ხოლო 582,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთია. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთიდან 582,0 ათასი ლარიდან: 264,6 ათასი ლარი წარმოადგენს შესრულებული

გარდამავალი ხელშეკრულებების ნაშთს, ხოლო 136,5 თავისუფალ ნაშთს. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10108,0 ათასი ლარით, გადასახდელები 11391,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1283,0 ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

დადგენილება : N1

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ განხილვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, ეს პროექტი შეიმუშავა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა მარინა ღვინიანეძემ არასამთავრებო ორგანიზაციებთან შეთანხმებით და მითითებებით. პროექტი წარმოდგენილია საკრებულს ვებ -გვერდზე განსახილველად და თუ რამე შენიშვნები იქნება, მივიღებთ გავითვალისწინებთ და დავამტკიცებთ მომდევნო საკრებულოს სხდომაზე.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა შალვა ლორთქიფანიძემ:
გავეცანი ამ პროექტს მომეწონა. ჩემი შენიშვნაა, თუ შესაძლებელია დაემატოს მუხლი კოდექსის დარღვევის შემთხვევაში რა სანქციები იქნება გატარებული.

დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.
დღის წესრიგით გათვალისწინებულ ,,სხვადასხვაში“ საკიოთხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე